



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბულდაშენი

ბულდაშენი, ტბა ნინოწმინდის რ-ნის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ფარავნის აუზში, 2040 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 0,39 კმ², აუზის ფართ. 69,3 კმ², მაქს. სიღრმე 0,85 მ, მოცულობა 165 ათ. მ³. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მაქს. დონე გაზაფხულზეა, მინ. – შემოდგომაზე. ბ-იდან გამოედინება მდ. ბულდაშენი (ფარავნის მარცხ. შენაკადი). ტბის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია წყლის მცენარეულობით. ტბაში არის თევზი. ზაფხულობით ბევრია წყლის ფრინველი.

**ი.
აფხაზავა**
